



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS  
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

**ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო**  
დიდი პალატა

**FU QUAN, s.r.o. ჩეხეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ**

(განაცხადი N 24827/14)

სამართლებრივი შეჯამება

*არაოფიციალური თარგმანი*

*გომგადებულია თბილისის სააკულაციო სასამართლოს  
თავმჯდომარის ბიუროს და ანალიტიკური სამსახურის მიერ.*

**სტრასბურგი**

**1 ივნისი, 2023 წელი**



## FU QUAN, s.r.o. ჩინეთის რესპუბლიკის წინააღმდეგ

### მუხლი 6

#### სამოქალაქოსამართლებრივი ნაწილი

#### მუხლი 6-1

#### სასამართლოს ხელმისაწვდომობა

გადაწყვეტილება ეხება ეროვნული სასამართლოების მხრიდან *jura novit curia* პრინციპის არგამოყენებას, რის შედეგადაც, განმცხადებლის მიერ რელევანტურად მიჩნეული სამართლებრივი პოზიციის თანახმად, მისი სასარჩელო მოთხოვნა არ იქნა სათანადოდ გამოკვლეული. აღნიშნულთან დაკავშირებით, განმცხადებელს არ წარმოუდგენია არგუმენტები: დაუშვებლად იქნა ცნობილი

#### პირველი ოქმის პირველი მუხლი

#### ქონებით სარგებლობის მოწესრიგება

### ფაქტობრივი გარემოებები

ორგანიზაციის აღმასრულებელი დირექტორისა და მისი სხვა პარტნიორის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის ფარგლებში დაყადაღებულ იქნა კომპანიის ქონება. სასამართლომ 2022 წლის 17 მარტის გადაწყვეტილებით დადგინილად მიიჩნია, რომ განმცხადებლის საჩივრის მთავარ მიზანს, ქონების გაუფასურების გამო, ზიანის ანაზღაურება წარმოადგენდა, რაც გამოწვეული იყო 5 წლის განმავლობაში კომპანიის საკუთრების დაყადაღებით. სახელმწიფოს წინასწარ პოზიციას, რაც ეფუძნებოდა იმ გარემოებას, რომ შიდასამართლებრივი საშუალებები არ იყო ამოწურული, სასამართლო არ დაეთანხმა და ხუთი ხმით ორის წინააღმდეგ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას. სასამართლოს განმარტებით, არაფერი არ ამართლებდა კომპანიის დირექტორისა და მისი პარტნიორის უდანაშაულოდ ცნობიდან კიდევ წელიწადნახევრის განმავლობაში კომპანიის ქონების ყადაღისგან გათავისუფლებაზე უარი.

2022 წლის 5 სექტემბერს, მოპასუხე სახელმწიფოს მოთხოვნით, საქმე განსახილველად გადაეცა დიდ პალატას.

### სამართლებრივი შეფასება

#### მე-6 მუხლი

წინასწარი შენიშვნები - მომჩივანი კომპანია კონვენციის მე-6 მუხლის პირველ პუნქტსა და მე-13 მუხლზე დაყრდნობით, ჩიოდა მასზე, რომ შიდა სასამართლოების მიერ ეროვნული კანონმდებლობის ფორმალური და ვიწრო განმარტების გამო, მას შეეზღუდა სასამართლოს

ხელმისაწვდომობის უფლება. სასამართლომ დაასკვნა, რომ ადგილი ჰქონდა პირველი ოქმის პირველი მუხლის დარღვევას და დაადგინა, რომ არ იყო საჭირო კონვენციის მე-6 და მე-13 მუხლების საფუძველზე წარდგენილ საჩივრებზე ცალკე გადაწყვეტილების გამოტანა. თუმცა, მიუხედავად ამისა, დიდმა პალატამ მიზანშეწონილად მიიჩნია თავდაპირველად ამ საჩივრების განხილვა. კერძოდ, იმ საჩივრებისა, რომლებიც მომჩივანმა კომპანიამ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში ძირითად საჩივრებად წარადგინა.

დიდმა პალატამ დაადგინა, რომ მომჩივანი კომპანიის მიერ მე-13 მუხლის საფუძველზე შეტანილი საჩივარი, შთაინთქა მე-6 მუხლის პირველი პუნქტით წარდგენილი საჩივრით. მით უფრო, რომ სახელმწიფო პასუხისმგებლობის შესახებ კანონი („კანონი“) გამართლებულ მხარეებს სთავაზობდა კომპენსაციის მოთხოვნის შესაძლებლობას მიყენებული ზიანის გამო (ხელისუფლების მხრიდან დაყადაღებული ქონების არასათანადო მოვლა ან გაუმართლებელი მიზეზით ყადაღისგან გათავისუფლების დაგვიანება).

**სასამართლოს შეფასება** - სასამართლოს განმარტებით, მომჩივანმა კომპანიამ, რომელსაც ადვოკატი წარმოადგენდა, მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის მიზნით, სამოქალაქო წესით აღძრა სარჩელი სახელმწიფოს წინააღმდეგ ისე, რომ არ დაუკონკრეტებია, აღნიშნული ზიანი უკანონო გადაწყვეტილების შედეგად იყო მიყენებული თუ ხელისუფლების ორგანოების მცდარი ქმედებებით. ორივე შემთხვევა ეხებოდა სახელმწიფოს კანონით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას. ხელისუფლებისადმი წარდგენილ საჩივრებში მომჩივანი განსაკუთრებულად უსვამდა ხაზს კომპანიის გენერალური დირექტორისა და მისი სხვა პარტნიორი წევრის მიმართ სისხლის სამართლის პროცესის უკანონო ხასიათსა და პატიმრობას და არასდროს უხსენებია ხელისუფლების მხრიდან რაიმე პროფესიული გადაცდომის არსებობა. იგი უთითებდა კანონის დებულებაზე, რომელიც ადგენს უკანონო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების სარჩელის ხანდაზმულობის ვადას. ამ გარემოებებმა უბიძგა პირველი ინსტანციის სასამართლოს, განეხილა განმცხადებელი კომპანიის მოთხოვნა უკანონო გადაწყვეტილებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ, იმ მოტივით, რომ მხოლოდ უკანონო გადაწყვეტილებაში მითითებულ მხარეებს შეეძლოთ, მოეთხოვათ სახელმწიფოსაგან მიყენებული ზიანის ანაზღაურება, კომპანიას - როგორც არაუფლებამოსილ პირს - უარი უთხრა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე. თავის შემდგომ საჩივრებში, მომჩივან კომპანიას არ მიუთითებია, რომ ქვედა ინსტანციის სასამართლოებმა არასწორად განმარტეს მისი სასარჩელო მოთხოვნა. ამდენად, მხარემ სარჩელი არ დააფუძნა საჯარო ხელისუფლების გადაცდომებზე და არც მიუთითებია, რომ შიდა სასამართლოებს აღნიშნულის საფუძველზე უნდა მიეღოთ გადაწყვეტილება.

უფრო მეტიც, ეროვნულ სამართალწარმოებაში არსებულ გადაჭარბებულ ფორმალიზმთან დაკავშირებულ საჩივარში, მომჩივანი კომპანიის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „გარკვეული თვალსაზრისით კომპანია „პატიმრობაში“ იმყოფებოდა, რადგან მთელი მისი ადამიანური რესურსი სასჯელალსრულების დაწესებულებაში იყო მოთავსებული“. ამ არგუმენტით ივარაუდება, რომ გადაჭარბებული ფორმალიზმი გამოწვეული იყო ეროვნული სასამართლოების მხრიდან უარის თქმით, გაუუქმებინათ კანონის მოქმედი სამართლებრივი

დებულება და ელიარებინათ კომპანიის უფლება, მოეთხოვა კომპენსაცია სადავო გადაწყვეტილებით მისი უკანონო დაკავების გამო მიყენებული ზიანისთვის.

მეორე მხრივ, საქმის განმხილველი პალატის წინაშე განმცხადებელმა კომპანიამ სრულიად განსხვავებული პოზიცია წარმოადგინა და ამტკიცებდა, რომ გადაჭარბებული ფორმალიზმი, რომელსაც ასაჩივრებდა, განპირობებული იყო იმით, რომ ეროვნულმა სასამართლოებმა მისი საქმე გადაწყვიტეს სამოქალაქო წესით, კერძოდ, უკანონო გადაწყვეტილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების და არა - საჯარო ხელისუფლების არასწორი ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების საფუძველით. ევროპული სასამართლო აღნიშნავს, რომ მხარეებს არ შეუძლიათ ისეთი არგუმენტების მითითება, რომლებიც არასდროს დაუყენებიათ ეროვნული სასამართლოს წინაშე.

ამასთან, პირველი ოქმის პირველ მუხლზე დაფუძნებულ საჩივრებთან დაკავშირებით, შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის კონტექსტში, ევროპული სასამართლოს პალატამ დაადგინა, რომ ეროვნული სასამართლოების გადასაწყვეტი იყო, *jura novit curia* პრინციპის გამოყენებით, განმცხადებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი ფაქტები გაენალიზებინათ კანონის სხვა დებულებების გათვალისწინებით და, შესაბამისად, გადაწყვეტილება მიეღოთ საჩივრის არსებითი მოთხოვნებიდან გამომდინარე. თუმცა, პალატამ გადაწყვეტილება ისე მიიღო, რომ არ გამოიკვლია, შეეძლო თუ არა განმცხადებელი კომპანიის სარჩელში მითითებული ფაქტების წარმოდგენას, ხელი შეეშალა ეროვნული სასამართლოებისათვის, საქმე განეხილათ საჯარო ხელისუფლების უკანონო ქმედებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების კონტექსტში. ასეთ გარემოებებში, არ შეიძლება ეროვნული სასამართლოების გაკრიტიკება იმის გამო, რომ მათ დავა არ განიხილეს საჯარო ხელისუფლების უკანონო ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების კუთხით.

საბოლოოდ, სასამართლოს აზრით, სამოქალაქო სარჩელზე უარის თქმის შემდეგაც კი, მომჩივანს შეეძლო ახალი დაზუსტებული სარჩელის შეტანა საჯარო ხელისუფლების უკანონო ქმედებებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურების შესახებ, რაც უნდა განეხორციელებინა საჩივარზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან ოთხი თვის ვადაში.

**დასკვნა:** დაუშვებლად იქნა ცნობილი (ცალსახად დაუსაბუთებელი)

## პირველი ოქმის პირველი მუხლი

1) **განმცხადებელი კომპანიის მიერ ამ მუხლის შესაბამისად წარდგენილ საჩივრებთან დაკავშირებით** - განმცხადებელი კომპანიის მიერ წარმოდგენილი პირველი ოქმის პირველი მუხლის სავარაუდო დარღვევასთან დაკავშირებული ფაქტებისა და მისი სამართლებრივი არგუმენტების შესწავლის შემდეგ, დიდი პალატა მიუთითებს, რომ აღნიშნული დებულების საფუძველზე, მომჩივანმა სასამართლოში სულ სამი მოთხოვნა წარადგინა. თუმცა პალატამ მათგან განიხილა მხოლოდ ერთი საკითხი, კერძოდ, ქონების

ყადაღისგან გათავისუფლების უსაფუძვლო (გაუმართლებელი) დაყოვნება თავის მხრივ, დიდი პალატა განიხილავს მომჩივანი კომპანიის სამივე მოთხოვნას.

## 2) დასაშვებობასთან დაკავშირებით

ა) მომჩივანი კომპანიის გენერალური დირექტორისა და მისი სხვა პარტნიორის გამართლების შემდეგ, ქონების ყადაღისგან გათავისუფლების უსაფუძვლო დაყოვნების შესახებ საჩივარზე - სასამართლოს განმარტებით, განმცხადებელს მართებს კონვენციასა ან მის ოქმებში აღიარებული უფლებების საწინააღმდეგოდ მიმართული მოქმედების ან უმოქმედობის ცხადად წარმოჩენა იმგვარად, რომ სასამართლოს არ მოუწიოს იმ საკითხზე ფიქრი, კონკრეტული მოთხოვნა იყო თუ არა წამოჭრილი. ორაზროვანი გამონათქვამები ან განცალკევებული სიტყვები საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ევროპულმა სასამართლომ მიიჩნიოს, რომ მხარემ კონკრეტული მოთხოვნა სასამართლოს წინაშე დააყენა. ეს მოთხოვნა გამომდინარეობს სასამართლოს რეგლამენტის 47-ე (§1 „ე“, „ვ“ და §2 „ა“) მუხლიდან, რომელიც ეხება ინდივიდუალური საჩივრის შინაარსს.

დიდი პალატის განმარტებით, მომჩივანმა კომპანიამ საჩივარში აღნიშნა, რომ საქონელი ხუთი წლის განმავლობაში იყო დაყადაღებული. თუმცა ამით მხარეს უნდოდა მხოლოდ მიეთითებინა, თუ რამდენად იყო პარალიზებული მისი საქმიანობა თავისი ორი პარტნიორის დაპატიმრების თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების გამო, რაც, მისი აზრით, უკანონო იყო. დიდი პალატის შეხედულებით, საქონლის ხუთწლიან დასაწყობებაზე მითითება ზედმეტად ბუნდოვანი იყო იმისთვის, რომ სასამართლოს ის განემარტა, როგორც საქონლის უკანონო ხანგრძლივი დაყადაღება. თუ განმცხადებელს ქონების გახანგრძლივებულ დაყადაღებასთან დაკავშირებით სურდა ამ ეტაპზე ჩივილი, ეს ნათლად უნდა მიეთითებინა წერილობით საჩივარში. აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნა არ ფიგურირებს მომჩივანი კომპანიის მიერ სასამართლოში შეტანილ სარჩელში და პირველად იგი მხოლოდ 2016 წლის ივნისში ევროპული სასამართლოს პალატის წინაშე გაჟღერდა. შესაბამისად, ეს საჩივარი ჩამოყალიბდა კომპენსაციის თაობაზე სამართალწარმოების დასრულებიდან ექვს თვეზე ხანგრძლივი პერიოდის გასვლის შემდეგ (2013 წელი).

ნებისმიერ შემთხვევაში, მაშინაც კი, თუ საჩივარი ექვსთვიან ვადაში იქნებოდა წარმოდგენილი, პალატის აზრით, სასამართლოს ხელმისაწვდომობის შეზღუდვის თაობაზე გაკეთებული დასკვნებიდან გამომდინარე, ის მაინც დაუშვებელია შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არამოწურვის გამო. სასამართლოს განმარტებით, მომჩივანმა კომპანიამ, გენერალური დირექტორისა და სხვა პარტნიორის უდანაშაულოდ ცნობის შემდეგ, სათანადოდ არ ისარგებლა მისთვის

მინიჭებული შესაძლებლობით - მოეთხოვა ქონების უსაფუძვლოდ გახანგრძლივებული დაყადაღების გამო ზიანის ანაზღაურება.

იმ არგუმენტებსა და კომენტარებზე პასუხად, რომ ეროვნულ სასამართლოებს უნდა გამოეყენებინათ *jura novit curia* პრინციპი და გაეანალიზებინათ საქმის ფაქტობრივი გარემოებები კანონის შესაბამისი დებულებებით, დიდ პალატას სურს, მიუთითოს თავისი პრეცედენტული სამართლის ორ პრინციპზე, რომლებიც დაკავშირებულია შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების ამოწურვასთან.

იმ სახელმწიფოებშიც კი, რომელთა სამოქალაქო სასამართლოებს შეუძლიათ ან *ex officio* ვალდებულნი არიან განიხილონ მათ წინაშე წამოჭრილი დავები (ანუ გამოიყენონ *jura novit curia* პრინციპი), განმცხადებლები არ თავისუფლდებიან ვალდებულებისგან, ეროვნულ დონეზე წარმოადგინონ ის მოთხოვნები, რომელთა წარდგენასაც შემდგომში აპირებენ. იგულისხმება, რომ შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების ამოწურვის წესთან შესაბამისობის შესაფასებლად, სასამართლომ მხედველობაში უნდა მიიღოს არა მხოლოდ ფაქტები, არამედ ეროვნული სასამართლოების წინაშე მოყვანილი სამართლებრივი არგუმენტები. ანალოგიურად, არაა საკმარისი, რომ საქმის ფაქტებსა ან განმცხადებლის პოზიციას დაყრდნობით, კონვენციის დარღვევის არსებობა იყოს „აშკარა“. პირიქით, მომჩივანი ვალდებულია, მკაფიოდ ან არსებითად დაავიწყდეს ამის შესახებ, რათა არ დარჩეს რაიმე ეჭვი, რომ საჩივარი, რომელიც ევროპულ სასამართლოში შეიტანა, არ ყოფილა წამოჭრილი ეროვნული სასამართლოების წინაშე, რასაც, მოცემულ შემთხვევაში, აშკარად არ ჰქონია ადგილი.

**დასკვნა:** დაუშვებელია (სამართლებრივი დაცვის შიდასახელმწიფოებრივი საშუალებების არ ამოწურვა)

ბ) საჩივარზე, რომელიც ეხება მომჩივანი კომპანიის გენერალური დირექტორისა და სხვა პარტნიორის უკანონო დაპატიმრების საფუძველზე კომპანიისათვის მიყენებულ ზიანს - აღნიშნული საკითხი ფიგურირებს მომჩივანი კომპანიის მოთხოვნაში, თუმცა არ განხილულა პალატის მიერ.

მომჩივანი კომპანიის აზრით, სისხლის სამართლის სამართალწარმოება და კომპანიის გენერალური დირექტორისა და სხვა პარტნიორის დაკავება უკანონო იყო, რადგან ისინი საბოლოოდ უდანაშაულოდ ცნეს. მართლაც, რელევანტური კანონის დებულებების თანახმად, - სახელმწიფოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების თვალსაზრისით - „უკანონოდ“ მიიჩნევა სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომელიც გაუქმდა ან ბათილად იქნა ცნობილი, და ასევე, „უკანონოდ“ მიიჩნევა ბრალდებულის პატიმრობა, თუ საბოლოოდ ის დამნაშავედ არ იქნა ცნობილი.

კომპანიის აზრით, სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების ფარგლებში მათთვის საქონლის ჩამორთმევა, ასევე „უკანონო“ იყო, გამამართლებელი განაჩენის დადგომიდან გამომდინარე. ეს დებულება, პირველი ოქმის პირველი მუხლის თანახმად, ადგენს, რომ სახელმწიფოს ეკისრება პასუხისმგებლობა სისხლისსამართლებრივი სამართალწარმოების შედეგად იმ პირთა საკუთრებისთვის მიყენებულ ზიანზე, რომლებიც გამართლებულ იქნენ.

თუმცა, სასამართლოს დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, პირველი ოქმის პირველი მუხლი არ გულისხმობს იმას, რომ მომჩივნის გამართლებას ან მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას, ავტომატურად უნდა მოჰყვეს კომპენსაციის მიღების უფლების წარმოშობა. ეს *a fortiori* ეხება წინამდებარე საქმეს, სადაც მომჩივანი კომპანია არ წარმოადგენდა მხარეს მისი აღმასრულებელი დირექტორისა და სხვა პარტნიორის წინააღმდეგ აღძრულ სისხლის სამართლის საქმეში და, შესაბამისად, ვერ იქნებოდა ვერც მსჯავრდებული და ვერც - გამართლებული.

დიდი პალატის განმარტებით, კომპენსაციის მიღების მსგავსი უფლება არ გამომდინარეობს პირველი ოქმის პირველი მუხლიდან, არამედ ის რეგულირდება ეროვნული კანონმდებლობით. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისი დებულებით კი, გათვალისწინებული იყო, რომ მიყენებული ზიანისათვის სამართალწარმოების მხოლოდ იმ მხარეებს ჰქონდათ კომპენსაციის მიღების უფლება, რომელთა წინააღმდეგაც იქნა გამოტანილი უკანონო გადაწყვეტილება. ამდენად, ეროვნული კანონმდებლობით, მომჩივანი კომპანიის მოთხოვნას კომპენსაციის მიღების თაობაზე, არ გააჩნდა საკმარისი საფუძველი. შესაბამისად, პირველი ოქმის პირველი მუხლიდან გამომდინარე გარანტიები, პალატის აზრით, აღნიშნულ საჩივარზე ვერ გავრცელდებოდა.

**დასკვნა: დაუშვებელია (შეუთავსებელი *ratione materiae*)**

გ) საჩივარზე, რომელიც ეხება ხელისუფლების მხრიდან მომჩივანი კომპანიის კუთვნილი ქონების არასათანადო მოფრთხილებას - აღნიშნული საკითხი ფიგურირებს მომჩივანი კომპანიის მოთხოვნაში, თუმცა არ განხილულა პალატის მიერ. სასამართლო ხელმისაწვდომობის შეზღუდვის შესახებ საჩივართან დაკავშირებით, დიდმა პალატამ დაასკვნა, რომ მომჩივანმა სათანადოდ არ ისარგებლა შეთავაზებული შესაძლებლობით, მოეთხოვა კომპენსაცია ხელისუფლების მხრიდან კომპანიის კუთვნილი ქონების არასათანადო მოფრთხილების მიზეზით მიყენებული ზიანის გამო.

**დასკვნა:** დაუშვებელია (შიდასამართლებრივი დაცვის საშუალებების არ ამოწურვის გამო)

(იხ. ასევე, *Radomilja and Others v. Croatia* [GC], [37685/10](#) and [22768/12](#), 20 March 2018, [Legal summary](#); *FU QUAN, s.r.o. v. the Czech Republic*, [24827/14](#), 17 March 2022).